ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1469760

ნომერი: AR1249025

თარიღი : 06.09.2014

გაცემის თარიღი : 09.09.2014

გაცნობის თარიღი : 19.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭირნახული , N 4 , (ნაკვეთი N4/108) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ ბეჟაშვილი პ/ნ 01010002963
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 179 ბ. 10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ირკვევა, რომ საპროექტო ობიექტი არსებულ შენობაზე მიშენებაა და ვინაიდან თვითონ არსებული შენობა არ ფიქსირდება საჯარო რეესტრის მიერ გაცემულ საკადასტრო გეგმის ნახაზზე და გაურკვეველია მისი როგორც კანონიერების საკითხი ასევე უცნობია რეკონსტრუქციის შემდგომ მიღებული ფართობიც (რომლის მიხედვით დგინდება შენობის კლასი) იმისათვის, რომ სამსახურმა ხელახლა იმსჯელოს თქვენს საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1.მოთხოვნის შინაარსი ტექსტში მიეთითოს საპროექტო შენობის ფუნქცია (დამატებით დააფიქსირეთ ინფორმაცია იმის თაობაზეც რომ ობიექტი არსებული შენობისგან დამოუკიდებელი შენობაა);

2.ვინაიდან არჩეული ნომენკლატურის მიხედვით არჩეული გაქვთ ახალი მშენებლობა, საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული ფოტომონტაჟი, არა რეკონსტრუქცია მიშენებით, არამედ ცალკე მდგომი პირველი კლასის ობიექტის ფოტომონტაჟი, რომელიც გამოყოფილი იქნება არსებული შენობისგან (იქნება ცალკე მდგომი) და მათ შორის დატოვებული იქნება მანძილი (შესაბამისი ზომის მითითებით). მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილი იქნას სიტუაციური გეგმა საკადასტრო გეგმაზე დატანილი საკადასტრო საზღვართან მიბმის მანძილების მითითებით (რაც შესაძლებელია აიტვირთოს "ფაილის მიმაგრება ველში"). ასევე გაითვალისწინეთ რომ მისი შეღებვა უნდა განხორციელდეს სადა ტონალობაში, არსებულ გარემოსთან უფრო მისადაგებულ ფერში;

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.